პროექტის წერის და მართვის სახელმძღვანელო

USAID
ამერიკელი ხალხისგან

PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტრო

EDEC
EDUCATION DEVELOPMENT
AND EMPLOYMENT CENTER

სახელმძღვანელო განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებისთვის, პედაგოგებისთვის და გრანტის მოპოვებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის.

სახელმძღვანელოში მოცემულია პრაქტიკული რჩევები პროექტის წერის და მართვის შესახებ.

სახელმძღვანელო შეიქმნა განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC) მიერ, პროგრამის „მომავლის თაობა" ფარგლებში, ორგანიზაცია PH International-ის დაკვეთით. პროგრამას „მომავლის თაობა" ახორციელებს PH International-ი, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით.

სახელმძღვანელო მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ სახელმძღვანელოში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრს და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი

სახელმძღვანელო დაიბეჭდა
„ფაუნტეინ ჯორჯიაში".

© Project Harmony, Inc., 2021. ყველა უფლება დაცულია
ISBN 978-9941-8-0167-9

სარჩევი

- **რა არის პროექტი?** 4
- **როგორ მოვიპოვოთ დაფინანსება პროექტის განსახორციელებლად?** 4
- **რა თემაზე შეიძლება მომზადდეს პროექტი?** 6
  - პროექტის სახელწოდება 6
  - საგრანტო განაცხადის თავფურცლის პრაქტიკული მაგალითი 7
- **პროექტის აღწერა** 8
  - პროექტის მიზანი 8
  - მოსალოდნელი შედეგები 8
- **პრობლემის აღწერა** 11
  - რა ღონისძიებები გატარდება მიზნის მისაღწევად? 12
- **მოსწავლეთა ჩართულობა პროექტში** 14
- **პროექტის პარტნიორები** 15
- **ვინ არიან პროექტის ბენეფიციარები/მოსარგებლეები?** 15
- **რისკები და დაშვებები** 17
- **პროექტის მდგრადობა მისი დაფინანსების დასრულების შემდეგ** 17
- **პროექტის მონიტორინგი და შეფასება** 19
- **პროექტის სამოქმედო გეგმა** 21
- **ბიუჯეტი** 24
- **დამატებით წარსადგენი დოკუმენტაცია (დანართები)** 27
- **პროექტის მართვის ციკლი (ეტაპები)** 27
- **რას ვაკეთებთ პროექტის დასრულების შემდეგ?** 28
- **გამოყენებული ტერმინების განმარტებები** 30

- **გამოყენებული ლიტერატურა** 32

რა არის პროექტი?

პროექტი არის კონკრეტული პრობლემის მოგვარებისკენ მიმართული საქმიანობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი კონკრეტული შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად.

პროექტი უნდა მომზადდეს საპროექტო განაცხადის (საგრანტო განაცხადი) მიხედვით, რომელიც დონორის მიერ დადგენილი ფორმაა.

როგორ მოვიპოვოთ დაფინანსება პროექტის განსახორციელებლად?

აქციეთ იდეა პროექტად



- ყურადღებით გაეცანით კონკურსის პირობებს და საგრანტო განაცხადის თანმდევ დოკუმენტებს (სამოქმედო გეგმა, ბიუჯეტი და ა.შ);
- მაქსიმალურად შეეცადეთ, თქვენი იდეა კონკურსის მოთხოვნებს მოარგოთ;
- პროექტი მთლიანობაში გაიაზრეთ — დაგეგმვიდან საბოლოო შედეგის მიღწევამდე;
- დონორის მოთხოვნის შემთხვევაში, რეგისტრაცია გაიარეთ ვებგვერდზე;
- ელექტრონულ განაცხადზე მუშაობის დაწყებამდე ჩამოტვირთეთ საგრანტო განაცხადის ფორმა და მასში მოცემული ყველა ველი შეავსეთ. აუცილებელია, განაცხადში შეტანილი ინფორმაცია რეალისტური იყოს.

მოამზადეთ პროექტის განხორციელების გეგმა და ბიუჯეტი; ატვირთეთ განაცხადი და წარადგინეთ განსახილველად.

დაფინანსების მიღების შემთხვევაში დაწვრილებით გაეცანით ხელშეკრულებას, განსაკუთრებით — თანხების ჩარიცხვისა და ანგარიშგების პირობებს.

გახსოვდეთ, რომ დონორი უპირატესობას ისეთ პროექტებს ანიჭებს, რომელთაც მდგრადობის პოტენციალი აქვთ; ანუ, რომლებიც პროექტის განხორციელების ვადისა და კონკრეტული დაფინანსების ამოწურვის შემდეგაც მოიტანენ სარგებელს ან/და საქმიანობას გააგრძელებენ.

საპროექტო განაცხადის მომზადებისას ყურადღება მიაქციეთ ისეთ ტექნიკურ მოთხოვნებს, როგორიცაა:

- ენა, რომლითაც უნდა შეივსოს განაცხადის ფორმა;
- საოფისე პროგრამა, რომელშიც უნდა მომზადდეს განაცხადი (WORD, PDF);
- ფონტი, რომელიც დოკუმენტის მომზადებისას უნდა გამოიყენოთ (Sylfaen, AcadNusx);
- შრიფტის ზომა (11, 12);
- სტრიქონებს შორის ინტერვალი (1.0, 1,15);
- განაცხადის გვერდების რაოდენობა;
- განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა.

რა თემაზე შეიძლება მომზადდეს პროექტი?



საკონკურსო თემები მრავალფეროვანია. თემა შეიძლება იყოს:

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულების გაძლიერება სკოლაში, შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა მოსწავლეებში, მოსწავლეთა მიერ ადამიანის უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, თანატოლთა შორის ძალადობის პრევენცია, მოსწავლეთა თვითმმართველობის გაძლიერება, სამოქალაქო ჟურნალისტიკის განვითარება, ინტერკულტურული განათლება, წიგნიერების ხელშეწყობა მოსწავლეებში, სკოლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ნაადრევი ქორწინების პრევენცია, მოზარდებში კიბერბულინგის წინააღმდეგ მიმართული ინიციატივები, პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა უფროსკლასელებში, მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასკოლო ცხოვრებაში, საგანგებო სიტუაციების მართვა და სხვა.

პროექტის სახელწოდება

უმჯობესია, სათაური იყოს მოკლე და შეესაბამებოდეს პროექტის შინაარსს.

პრაქტიკული მაგალითი

პროექტის სახელწოდება:

დაინახე, გაიგე, დაარღვიე დუმილი!

საგრანტო განაცხადის თავფურცლის პრაქტიკული მაგალითი:

1. **სკოლის დასახელება:** სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის # 95 საჯარო სკოლა
2. **აპლიკანტის სახელი და გვარი:** ეკატერინე ქაშიბაძე
3. **პროექტის ხელმძღვანელის სახელი, გვარი და თანამდებობა:** ეკატერინე ქაშიბაძე, პედაგოგი
4. **პროექტის ხელმძღვანელის დაბადების თარიღი:** 20.05.1975
5. **პროექტის ხელმძღვანელის მისამართი (ფაქტიური):**

   ქალაქი: ზესტაფონი

   მისამართი: მშვიდობის ქუჩა #120

   სახლის ტელეფონი: 0 492 01 01 01

   მობ. ტელეფონი: 572 37 37 37

   ელ. ფოსტა:

   ekaterine_kashibadze@gmail.com
6. **პროექტის ხანგრძლივობა:** 4 თვე
7. **პროექტში ჩართული ყველა პირი, მათი სტატუსი და მოვალეობები:**

   - ეკატერინე ქაშიბაძე - პროექტის მენეჯერი და სამოქალაქო განათლების პედაგოგი, პასუხისმგებელია პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის წარმართვაზე და პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მომზადებაზე; ასევე, უზრუნველყოფს პროექტის მონიტორინგს მისი განხორციელების ყველა ეტაპზე და ორგანიზებას გაუწევს პროექტის საბოლოო შეფასებას;
   - ცოტნე ნასყიდაშვილი - პროექტის ასისტენტი, მე-9 კლასის მოსწავლე, დაეხმარება პროექტის მენეჯერს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში; პასუხისმგებელი იქნება ტრენინგების, კონფერენციის, აქციისა და „ღია საუბრების კლუბის" შეხვედრების საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაზე;
   - ბარბარე ჭანკვეტაძე - ტრენერ-კონსულტანტი, პასუხისმგებელი იქნება მოსწავლეების, პედაგოგებისა და მშობელთა ჯგუფებისთვის დაგეგმილი ტრენინგ-მოდულების მომზადებასა და მათ ჩატარებაზე; ასევე, პერიოდულ კონსულტაციებს გაუწევს „ღია საუბრების კლუბის" წევრებს საკლუბო ღონისძიებების დაგეგმვასთან დაკავშირებით.
8. **მოთხოვნილი თანხა (ლარში):**

   3,000 ლარი

გაითვალისწინეთ: ტრენინგი აუცილებლად უნდა ჩაატაროს შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე პირმა.

პროექტის აღწერა

საგრანტო განაცხადის მომზადებისას კონკრეტულად აღწერეთ პროექტის ეტაპები და ხაზი გაუსვით, თუ რა როლს თამაშობს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არსებული პრობლემის მოგვარებაში.



პროექტის მიზანი არის ის სასურველი მდგომარეობა, რის მიღწევასაც პროექტის განხორციელებით ცდილობთ. მიზანი ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდეს პრობლემას, რომლის მოგვარებას ან ნაწილობრივ გადაჭრასაც ემსახურება პროექტი. მცირე ზომის პროექტებს, უმეტესწილად, მხოლოდ ერთი ან ორი მიზანი აქვთ.

საპროექტო განაცხადის მომზადებას წინ უნდა უძღოდეს სკოლაში, თემში, სოფელში თუ ქალაქში იმ პრობლემების გამოვლენა, რომელთა გადაჭრაც მიზნად უნდა დაისახოს პროექტის განმახორციელებელმა გუნდმა.

მას შემდეგ, რაც პრობლემების გამოვლენას დაასრულებთ, შეგიძლიათ, მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა დაიწყოთ. პრობლემების გამომწვევი მიზეზების ცოდნა მათი მოგვარების გზების სწორად განსაზღვრაში დაგეხმარებათ.

გაითვალისწინეთ: პროექტის მიზანი უნდა იყოს მკაფიო, მიღწევადი და გაზომვადი. იგი პრობლემის ნაწილობრივ ან სრულ მოგვარებას უნდა უზრუნველყოფდეს.

მოსალოდნელი შედეგები არის კონკრეტული ცვლილებები, რომელთა მიღწევა პროექტის განხორციელებით გახდება შესაძლებელი. არსებობს მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები. მოკლევადიანია შედეგი, რომელიც პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მიიღწევა, მაგ.: სკოლის 100 მოსწავლე ცოდნას შეიძენს მოსწავლეთა შორის ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ. გრძელვადიანია ის შედეგები, რომლებიც შესაძლებელია, პროექტის დასრულებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ დადგეს. გრძელვადიანი შედეგები არის თქვენი პროექტის წვლილი საერთო პრობლემის მოგვარებაში, მაგ.: ბავშვთა შორის ძალადობის შესახებ საზოგადოების ცნობიერება ამაღლდება თემში.

მაგალითად:



გაითვალისწინეთ: თუ პროექტის მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ამა თუ იმ საკითხის შესახებ, პროექტის შედეგის გაზომვის მიზნით, აუცილებლად დაგეგმეთ საზოგადოების გამოკითხვა პროექტის დასაწყისში და მისი დასრულების შემდეგ.

პრაქტიკული მაგალითი

1. პროექტის მიზანი:

სსიპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის #95 საჯარო სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგთა და მშობელთა უკეთ ინფორმირება მოსწავლეთა შორის ძალადობის შესახებ, თანატოლთა შორის ჩაგვრის პრევენცია.

2. მოსალოდნელი შედეგები:

პროექტის განხორციელების მოსალოდნელი შედეგები:

- სსიპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის #95 საჯარო სკოლაში შეიცვლება მოსწავლეთა, პედაგოგთა და მშობელთა დამოკიდებულება თანატოლთა შორის ძალადობის მიმართ. მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები უკეთ დაინახავენ და გააცნობიერებენ საკუთარ როლსა და პასუხისმგებლობას ძალადობასთან ბრძოლის საქმეში;
- სკოლაში შეიქმნება მოსწავლეთა შორის ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმი;
- გაიზრდება ყველა საფეხურის მოსწავლის, პედაგოგებისა და მშობლების ცოდნა ძალადობის სახეების, ფორმებისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ;
- მოსწავლეები გაიაზრებენ, როგორ უნდა მოიქცნენ და ვის უნდა მიმართონ იმ შემთხვევაში, თუ თანატოლთა შორის ძალადობის შემსწრე ან მსხვერპლი არიან;
- მოსწავლეები არ მოერიდებიან ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინებას. ისინი დარწმუნდებიან, რომ მათი ვინაობა არ გამჟღავნდება და ამით საფრთხე არ დაემუქრებათ მათ;
- სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგების, ფსიქოლოგის, მოსწავლეებისა და სასკოლო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით მოსწავლეთა შორის ძალადობის შემთხვევები შემცირდება სკოლაში, გაუმჯობესდება სკოლის გარემო;
- პროექტის შედეგებსა და გამოცდილებას ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გავუზიარებთ სხვა სკოლებში მისი დანერგვის მიზნით.

პრობლემის აღწერა



პროექტის საჭიროების დასაბუთება პრობლემის აღწერით (არსებული სიტუაციის ანალიზით) იწყება.

ახსენით, თუ რა პრობლემის მოგვარებას ცდილობთ თქვენი პროექტით და რატომ? გამოკვეთეთ მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელთა მოგვარებაც გავლენას მოახდენს პრობლემის შემცირებაზე ან აღმოფხვრაზე. დეტალურად აღწერეთ პროექტის ბენეფიციართა (მოსარგებლე პირთა) მდგომარეობა, მოიყვანეთ ფაქტები და სტატისტიკა. პრობლემის აღწერას დამაჯერებლობას სძენს კვლევის შედეგები, შესაბამისი მაგალითები და ექსპერტთა შეფასებები. აუცილებლად მიუთითეთ ინფორმაციის წყარო; დარწმუნდით ყველა გამოყენებული მონაცემის სიზუსტეში; შეეცადეთ, რომ პრობლემა ლაკონურად და გასაგებად გადმოსცეთ.

პრაქტიკული მაგალითი

3. პრობლემის აღწერა

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ ჩატარებულმა კვლევამ – „ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ“* (http://bit.ly/dzaladoba) გამოავლინა, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი სხვადასხვა ფორმით განიცდის ჩაგვრას. როგორც აღმოჩნდა, უმეტესწილად, ბავშვის მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობაა გავრცელებული. სამწუხაროდ, ამ მხრივ უკეთესი სურათი არც სსიპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის #95 საჯარო სკოლაში გვაქვს, სადაც პედაგოგთა და სკოლის ადმინისტრაციის დაკვირვებით, VII-IX კლასებში მოსწავლეთა დიდი ნაწილი ძალადობის მონაწილეა. მოზარდები როგორც მოძალადის, ისე მსხვერპლის ან შემსწრის როლში გვევლინებიან. მოსწავლეები საუბრისას აღნიშნავენ, რომ იციან, რას ნიშნავს ძალადობა, თუმცა ისეთი საქციელი, როგორიცაა სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაცინვა, აბუჩად აგდება, აგრესიის გამოვლენა და ა.შ. მათ ძალადობად არ მიაჩნიათ.

სკოლაში გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობა არ თვლის, რომ თანატოლების დაცინვა ძალადობაა. დაკვირვება აჩვენებს, რომ მოზარდები ყველაზე ხშირად გარეგნული ნიშნების/მახასიათებლების საფუძველზე ჩაგრავენ თანატოლებს. მოსწავლეები არ ფლობენ ინფორმაციას, რომ ძალადობა საქართველოს კანონმდებლობით იკრძალება.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევა იმასაც აჩვენებს, რომ მშობელთა დიდი ნაწილი სრულ ინფორმაციას არ ფლობს იმის შესახებ, თუ რა ითვლება თანატოლთა შორის ძალადობად. მათი უმრავლესობა ვერ ხედავს საკუთარ როლს როგორც ძალადობის შემთხვევების დროული გამოვლენის, ისე მათი შემცირებისა და პრევენციის საკითხებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია მოსწავლეთა, მშობელთა, პედაგოგთა, საზოგადოების წარმომადგენელთა ინფორმირებულობისა და პასუხისმგებლობის დონის გაზრდა თანატოლთა შორის ძალადობასთან დაკავშირებით და უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა. წარმოდგენილი საგრანტო განაცხადიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

*

რა ღონისძიებები გატარდება მიზნის მისაღწევად?

აღნიშნული ნაწილი თქვენ მიერ დასახული მიზნის მისაღწევად კიდევ უფრო კონკრეტული ნაბიჯების გააზრებას გულისხმობს. პროცესი ისე აღწერეთ, რომ მან შემდეგ კითხვებს უპასუხოს:

ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში?

რას გააკეთებენ პროექტის მონაწილეები იმისათვის, რომ დასახული მიზნის მიღწევას შეუწყონ ხელი?

სად განახორციელებენ აქტივობებს, რომლებიც თქვენ მიერ აღწერილი პრობლემის მოგვარებას ისახავს მიზნად?

როდის და რა პერიოდში განახორციელებთ თითოეულ აქტივობას?

პრაქტიკული მაგალითი

4. რა ღონისძიებები გატარდება აღნიშნული მიზნის მისაღწევად?

- პროექტის საწყის ეტაპზე სამიზნე ჯგუფებს წარედგინება პროექტი. მისი იდეისა და მიზნების პოპულარიზაცია მნიშვნელოვანია დაგეგმილი ღონისძიებების წარმატებით განსახორციელებლად. პროექტის პრეზენტაციაზე მოწვეული იქნებიან პედაგოგები, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მოსწავლეები სხვადასხვა საჯარო სკოლიდან, ზესტაფონის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან, დონორი ორგანიზაციიდან, ასევე - ძალადობის თემაზე მომუშავე არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებიდან. პროექტის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივი მედიისა და სოციალური მედიის მეშვეობით გაშუქდება;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციასთან „საქართველოს ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაცია" თანამშრომლობით 6 საათიანი სატრენინგო პროგრამა შემუშავდება სკოლებში თანატოლთა შორის ძალადობის პრევენციის თემაზე, რომელშიც, საერთო ჯამში, 100-მდე პირი მიიღებს მონაწილეობას (VII-IX კლასების 60 მოსწავლე, 20 პედაგოგი, 20 მშობელი);
- სკოლის ბაზაზე შეიქმნება „ღია საუბრების კლუბი", სადაც მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები სურვილის მიხედვით გაწევრიანდებიან. სავარაუდოდ, წელიწადში 200-ზე მეტი მოსწავლე ჩაერთვება „ღია საუბრების კლუბის" მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში (10 მოსწავლე თითოეულ შეხვედრაზე ყოველკვირეულად). კლუბის წევრები წინასწარ შერჩეული სასაუბრო თემების შესაბამისად უზრუნველყოფენ სპეციალისტების მოწვევას. თემატური შეხვედრების გარდა, „ღია საუბრების კლუბის" წევრები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის პერიოდულად ისეთი ტიპის ღონისძიებებს გაუწევენ ორგანიზებას, როგორიცაა:
  - → ესეების კონკურსი თანატოლთა შორის ძალადობის თემაზე;

→ თემატური ფილმების ჩვენება და განხილვა;

→ ექსპერტების მოწვევა შეხვედრებზე სასაუბროდ, თუ როგორ უნდა მოიქცეს მოსწავლე, პედაგოგი, მშობელი, როდესაც ბავშვი/მოზარდი ძალადობის მსხვერპლი ან შემსწრეა;

→ სკოლაში დაფის/პოსტერის შექმნა თემაზე „ერთად ძალადობის წინააღმდეგ", რომელზეც მოსწავლეები საკუთარი ხელმოწერით დააფიქსირებენ თავიანთ დამოკიდებულებას ძალადობის წინააღმდეგ;

→ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის თანატოლთა შორის ძალადობის თემაზე შექმნილი სპეციალური გასაფერადებელი დავალებების შესრულება;

→ თანატოლგანმანათლებლობის ტრენინგში მონაწილეობა, თემატური ზღაპრების/იგავ-არაკების კითხვა უმცროსკლასელთათვის და განხილვა, ცარცით ხატვა.

- მოსწავლეთა მიერ შედგენილი სცენარებითა და სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით, 2 თვეში ერთხელ, მინი თეატრალური წარმოდგენის დადგმა და წარმოდგენის შემდეგ განხილვის მოწყობა. ეს შეიძლება იყოს მცირე პიესა (სკეტჩი) ან ფორუმთეატრი, რომელშიც თანატოლთა შორის ძალადობის შემთხვევები და პრობლემის მოგვარების გზები გამოიკვეთება;
- მოეწყობა საინფორმაციო კამპანია „დაარღვიე დუმილი", რომლის მიზანი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა (500-მდე პირი) ინფორმირება იქნება მოსწავლეთა შორის ძალადობის თემაზე. კამპანიის ფარგლებში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, გავრცელდება პარტნიორი ორგანიზაციის – „საქართველოს ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაციის" მიერ გადმოცემული საინფორმაციო მასალები, ხოლო ქალაქის სკვერში ძალადობის თემაზე მომზადებული ვიდეორგოლების ჩვენება და მოსწავლეთა ნახატების გამოფენა გაიმართება. პარალელურად, „ღია საუბრების კლუბში" გაწევრიანებული მოსწავლეები ონლაინ კამპანიას წარმართავენ როგორც სკოლის, ისე პროექტის ფარგლებში შექმნილ ფეისბუქის გვერდებზე და პერიოდულად საინფორმაციო მასალებს განათავსებენ თანატოლთა შორის ძალადობის თემაზე;
- კონფერენცია მოეწყობა 12-18 წლის ასაკის მოსწავლეთა მონაწილეობით კიბერბულინგისა და ძალადობის პრევენციაზე. კონფერენციაში 30 მოსწავლე, 10 პედაგოგი და 10 მშობელი მიიღებს მონაწილეობას;
- სკოლაში უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად ძალადობაზე რეაგირების მექანიზმი შემუშავდება. კერძოდ, სკოლის ვებგვერდს დაემატება ადგილი, სადაც მოსწავლეებს საკუთარი ვინაობის მითითების გარეშე შეეძლებათ შეტყობინებების გაგზავნა მოსწავლეთა შორის ძალადობის მათთვის ცნობილი შემთხვევების შესახებ;
- სკოლის ადმინისტრაციასთან შეიქმნება ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც მიღებულ შეტყობინებებს განიხილავს და რეაგირებას მოახდენს ძალადობის თითოეულ შემთხვევაზე, იმუშავებს კონფლიქტში ჩართულ ყველა მხარესთან;
- სკოლის შენობაში, პოსტერების სახით, განთავსდება ძალადობასთან ბრძოლის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია:

→ ბავშვთა დახმარების „ცხელი ხაზი" – 111;

→ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ცხელი ხაზი" – 15 05;

→ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო „ცხელი ხაზი" – 116 006;

→ საგანგებო და გადაუდებელი დახმარება – 112.

მოსწავლეთა ჩართულობა პროექტში

აღნიშნული პროექტი იმ პრობლემის მოგვარებას ისახავს მიზნად, რომელიც უშუალოდ მოსწავლეებს ეხება. ამიტომ, მათი ჩართულობა პროექტის ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია. მოსწავლეები უნდა მონაწილეობდნენ როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების, მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების პროცესში. აღწერეთ მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლეთა ეფექტიან ჩართულობას უზრუნველყოფთ.

პრაქტიკული მაგალითი

5. როგორ უზრუნველყოფთ მოსწავლეთა ჩართულობას?

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი თითოეული აქტივობა მოსწავლეთა ჩართულობით განხორციელდება, რაც მათ უშუალო მონაწილეობას გულისხმობს როგორც საქმიანობის დაგეგმვის, ისე განხორციელებისა და შეფასების პროცესში:

- ძირითადად, მოსწავლეები წარმართავენ „ღია საუბრების კლუბის" საქმიანობას. ისინი განსაზღვრავენ შეხვედრების თემებს, მოიძიებენ ექსპერტებს და მოიწვევენ მათ;
- მოსწავლეები შეარჩევენ ფილმებს თანატოლებისა და პედაგოგების გამოკითხვის საფუძველზე. ამ ფილმების განხილვაში სხვადასხვა კლასის მოსწავლეები ეტაპობრივად ჩაერთვებიან;
- საინფორმაციო კამპანიაში მონაწილეობას მიიღებს 50-მდე მოსწავლე, ასევე – პედაგოგები და მშობლები. მოსწავლეები ჩაერთვებიან საინფორმაციო მასალების გავრცელებაში და სოციალური ქსელების გამოყენებით წარმართავენ ონლაინ კამპანიას;
- მოსწავლეთა უშუალო მონაწილეობით განისაზღვრება კონფერენციის თემაც, შეირჩევიან გამომსვლელები და მონაწილეები. მოსწავლეები შეხვედრებს მოაწყობენ მშობლებთან კონფერენციის მიზნების გაცნობის, მონაწილეობის ფორმების განსაზღვრისა და სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართვის მიზნით;
- მოსწავლეები იქნებიან თანატოლგანმანათლებლები, სპექტაკლებისა და ფორუმთეატრების მონაწილეები, სცენარების ავტორები. ისინი ჩაატარებენ საწყის კვლევას პროექტის დაწყებამდე და ასევე, გაზომავენ პროექტის შედეგებს მისი დასრულების შემდეგ.

პროექტის პარტნიორები

იმისათვის, რომ თქვენი პროექტი უფრო შედეგიანი და დონორისთვის მიმზიდველი გახდეს, კარგი პარტნიორული ურთიერთობები დაამყარეთ სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რომლებიც პროექტის მიზნების მიღწევაში დაგეხმარებიან. ასეთი ორგანიზაციები შეიძლება იყოს პროექტის თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს კომპანიები, ადგილობრივი თვითმმართველობა და სხვა. პარტნიორის შერჩევამდე ორივე მხარის საერთო ინტერესებზე დაფიქრდით; განსაზღვრეთ, რას მოუტანს თქვენს პროექტს ეს თანამშრომლობა. გადაწყვეტილება პროექტში მათ ჩართვასთან დაკავშირებით მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ.

პრაქტიკული მაგალითი

6. პროექტის პარტნიორები:
სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი ტრენინგის პროგრამის შემუშავებაში ჩაერთვება, პერიოდულად მონაწილეობას მიიღებს „ღია საუბრების კლუბის" შეხვედრებში, დისკუსიებში, ფილმების ჩვენება-განხილვასა და კონფერენციაში.

არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაცია" წარმომადგენელი სკოლებში ტრენინგს ჩაატარებს თანატოლთა შორის ძალადობის პრევენციის თემაზე, მონაწილეობას მიიღებს საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვაში და „ღია საუბრების კლუბის" სამუშაო შეხვედრებში ჩაერთვება.

ვინ არიან პროექტის ბენეფიციარები/მოსარგებლეები?

ბენეფიციარებს/მოსარგებლეებს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომლებმაც პროექტის განხორციელებით უშუალო სარგებელი უნდა მიიღონ; ანუ ის პირები, რომლებიც პროექტის შედეგად გაიღრმავებენ ცოდნას, შეიძენენ გამოცდილებას და პროექტის ფარგლებში შექმნილ რესურსებსა თუ სხვა შედეგებს პრაქტიკაში გამოიყენებენ.

პროექტის ბენეფიციარები, თავის მხრივ, ორ კატეგორიად იყოფიან: **პირდაპირი და არაპირდაპირი** ბენეფიციარები. პირდაპირი ბენეფიციარები არიან ისინი, ვინც უშუალოდ მონაწილეობენ პროექტის ფარგლებში დაგეგმილ

ღონისძიებებში და პირდაპირი ფორმით იღებენ სარგებელს. ხოლო, არაპირდაპირ ბენეფიციარებად მოიაზრებიან პირები, რომლებიც პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში უშუალოდ არ არიან ჩართულნი, მაგრამ მაინც იღებენ ირიბ სარგებელს, მაგალითად: პირდაპირი ბენეფიციარების ოჯახის წევრები, მუნიციპალიტეტში მცხოვრები პირები და სხვა.

პრაქტიკული მაგალითი

7. ვინ არიან პროექტის ბენეფიციარები?

პროექტის ფარგლებში სარგებელს მიიღებს:

- სკოლის დაწყებითი საფეხურის 200 მოსწავლე, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში (ტრენინგები, თემატური ზღაპრების/იგავ-არაკების კითხვა და განხილვა, ცარცით ხატვა);
- VII-IX კლასების 60 მოსწავლე, 20 პედაგოგი, 20 მშობელი, რომლებიც ტრენინგს გაივლიან მოსწავლეთა შორის ძალადობის თემაზე, აიმაღლებენ ცოდნას და ახალ უნარ-ჩვევებს გამოიმუშავებენ მოსწავლეებში ძალადობის პრევენციის მიზნით;
- წლის მანძილზე 200-ზე მეტი მოსწავლე, რომლებიც ყოველკვირეულად ჩაერთვებიან „ღია საუბრების კლუბის" მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში (10 მოსწავლე თითოეულ შეხვედრაზე);
- 50 მოსწავლე, 10 პედაგოგი და 10 მშობელი, რომლებიც პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საინფორმაციო კამპანიისა და კონფერენციის დაგეგმვა-განხორციელებაში;
- ადგილობრივი თემის 500-მდე წარმომადგენელი, რომელიც საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით ინფორმაციას მიიღებს ძალადობის პრევენციის შესახებ;
- პროექტის არაპირდაპირი ბენეფიციარი იქნება სკოლის ყველა პედაგოგი, რომელიც პრევენციული ზომების გატარების შედეგად უსაფრთხო გარემოში გააგრძელებს საქმიანობას. არაპირდაპირი ბენეფიციარები იქნებიან, ასევე, მოსწავლეთა მშობლები, ოჯახის წევრები და, ზოგადად, მათივე თემის წარმომადგენლები.

8. აღნიშნული ბენეფიციარების რაოდენობები ცალ-ცალკე ჩამოთვალეთ:

- სკოლის მოსწავლე: 500
- პედაგოგი: 30
- მშობელი: 30
- თემის წარმომადგენელი: 500

რისკები და დაშვებები

დეტალურად წარმოიდგინეთ პროექტის განხორციელების პროცესი და განსაზღვრეთ ყველა შესაძლო რისკ-ფაქტორი, რამაც შეიძლება, გავლენა იქონიოს პროექტის განხორციელებაზე. აღწერეთ, როგორ შეიძლება ხელისშემშლელი ფაქტორების მინიმუმამდე შემცირება.

რისკების შეფასებისთვის პოტენციური ბენეფიციარების, სამიზნე ჯგუფების, პარტნიორების, დაინტერესებული მხარეებისა და მხარდამჭერების წინასწარი განწყობების შესწავლა პროექტის განხორციელებაში დაგეხმარებათ.

პრაქტიკული მაგალითი

9. ჩამოთვალეთ ის შესაძლო რისკები, რამაც შეიძლება, პროექტის წარმატებით განხორციელებას შეუშალოს ხელი; განსაზღვრეთ მათი თავიდან აცილების გზები.

რისკი: მოსწავლეთა დაბალი ინტერესი პროექტის აქტივობებში ჩართვასთან დაკავშირებით.

რისკის თავიდან არიდების გზები: მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით, პროექტის დაწყებამდე, ყველა კლასში ჩატარდება პროექტის პრეზენტაცია, მოსწავლეთა მოსაზრებები პროექტის საქმიანობის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება, მაგალითად: რომელი ფილმების ჩვენებები მოეწყოს, ვინ მოვიწვიოთ სკოლაში სტუმრად და სხვა.

პროექტის მდგრადობა მისი დაფინანსების დასრულების შემდეგ



აქ უნდა აღწეროთ, თუ როგორ გააგრძელებს არსებობას პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები მას შემდეგ, რაც პროექტის განხორციელება დასრულდება. მაგალითად: თუ სკოლამ ძალადობაზე რეაგირების მექანიზმი შეიმუშავა, უნდა აღიწეროს, როგორ გამოიყენებთ ამ მექანიზმს მომავალში, დონორის თანხების გარეშე.

პრაქტიკული მაგალითი

10. აღწერეთ პროექტის მდგრადობა მისი დაფინანსების დასრულების შემდეგ:

პროექტის მდგრადობის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი „ღია საუბრების კლუბია", რომელიც მუშაობას პროექტის დასრულების შემდეგაც გააგრძელებს. კლუბის მთავარი თემა მოსწავლეებში ძალადობის პრევენცია და მის შესახებ ცნობიერების ამაღლება იქნება. კლუბში, ქვეგანყოფილებების სახით, იფუნქციონირებს: განათლების ჯგუფი, დებატების ჯგუფი, საინფორმაციო ჯგუფი, შემოქმედებითი ჯგუფი, რომლებშიც მოსწავლეები ინტერესთა სფეროების მიხედვით განაწილდებიან. თითოეული ჯგუფის ამოცანა იქნება, დაგეგმოს და განახორციელოს თემატური ღონისძიებები, მაგალითად: განათლების ჯგუფი ორგანიზებას გაუწევს ტრენინგ-სემინარებს, კონფერენციებს, სადისკუსიო კლუბის შეხვედრებს ძალადობის რაობისა და პრევენციის თემაზე; შემოქმედებითი ჯგუფი დაგეგმავს სცენარების კონკურსს, ფორუმ-თეატრებს, მოსწავლეთა მიერ ანიმაციების შექმნას, ფილმების ჩვენებას და სხვა; კლუბის საინფორმაციო ჯგუფი კი პასუხისმგებლობას აიღებს პროექტის ფეისბუქის გვერდის მართვაზე. კლუბს ეყოლება არჩეული ლიდერი, რომლის არჩევნებიც ფარული კენჭისყრის მეთოდით წელიწადში ერთხელ ჩატარდება. ლიდერი პასუხისმგებელი იქნება კლუბის საქმიანობის დაგეგმვასა და ორგანიზებაზე. კლუბს, ასევე, ეყოლება მენტორი მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეებს შეხვედრების ორგანიზების საკითხებში დაეხმარება.

„ღია საუბრების კლუბი"-ს საშუალებით მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები ერთობლივად წამოწევენ წინ მოსწავლეთა შორის ძალადობის თემას, გაატარებენ პრევენციულ ღონისძიებებს და ამით ხელს შეუწყობენ უსაფრთხო გარემოს შექმნას სკოლაში.

ვებგვერდის ადმინისტრატორი და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფენ მოსწავლეებისგან ვებგვერდის მეშვეობით შემოსული შეტყობინებების დახარისხებას, მასწავლებელთა და მშობელთა ინფორმირებას. სკოლის ადმინისტრაციის მიერ შექმნილი მულტიდისციპლინური ჯგუფი კი უზრუნველყოფს შემთხვევებზე რეაგირებას, ძალადობაში ჩართულ მხარეებთან მუშაობას და გრძელვადიან დაკვირვებას პრობლემის მოგვარების შემდეგ.

პროექტის მონიტორინგი და შეფასება



მონიტორინგი გულისხმობს, ძირითადად, სტატისტიკური ინფორმაციის რუტინულად შეგროვებას, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად ზედმიწევნით განხორციელდა პროექტის ფარგლებში დაგეგმილი თითოეული აქტივობა. მაგალითად, მონიტორინგის შედეგად შესაძლებელია, შევისწავლოთ: *ა) ჩატარდა თუ არა ტრენინგი სკოლაში ძალადობის თემაზე;* და *ბ) რამდენი მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი დაესწრო მას საერთო ჯამში.*

შეფასება კი ეყრდნობა მონიტორინგის შედეგად შეგროვილ ინფორმაციას და პროექტის შედეგების ხარისხის შეფასებას მოიაზრებს. კონკრეტულად, შეფასების დროს ხდება პროექტის განხორციელებით მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-ანალიზი. მაგალითად, შეფასების საგანი შეიძლება იყოს: *ა) სკოლაში ჩატარებული ტრენინგის შედეგად ამაღლდა თუ არა მონაწილეთა ცნობიერება ძალადობის თემაზე* და *ბ) როგორ აისახა ეს სკოლის გარემოს გაუმჯობესებაზე.*

იმისათვის, რომ გაიგოთ, წარმატებულია თუ არა თქვენი პროექტი, მისი განხორციელებით მიღებული შედეგები წინასწარ განსაზღვრული შეფასების მეთოდების გამოყენებით უნდა გაზომოთ, მაგალითად: ბენეფიციართა გამოკითხვა პროექტის დაწყებისა და დასრულების შემდეგ; პროექტის განხორციელებით დაინტერესებული პირებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზი; იმ ადამიანების ქცევაზე დაკვირვება, ვინც პროექტის ფარგლებში გაიარა ტრენინგი და სხვა.

პრაქტიკული მაგალითი

11. პროექტის მონიტორინგი და შეფასება:

პროექტის მონიტორინგი/ შეფასება	ვინ ჩაატარა მონიტორინგი	მონიტორინგის ჩატარების თარიღი	მონიტორინგის კრიტერიუმები
პირველი შუალედური მონიტორინგი	პროექტის მენეჯერი პროექტის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად	X სექტემბერი, XXXX წელი	60 მოსწავლის, 20 პედაგოგისა და 20 მშობლის მონაწილეობით სკოლებში ჩატარდა ტრენინგი ძალადობის პრევენციის თემაზე. ყოველკვირეულად ტარდება „ღია საუბრების კლუბის" შეხვედრები. კლუბის ორგანიზებით ძალადობის თემაზე ეწყობა დისკუსიები, ფილმის ჩვენება-განხილვები, თეატრალური წარმოდგენები, თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგები, დაბალი საფეხურის მოსწავლეებთან შეხვედრები.
მეორე შუალედური მონიტორინგი	პროექტის მენეჯერი პროექტის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად	X ოქტომბერი -ნოემბერი, XXXX წელი	70-მდე პირის ჩართულობით საინფორმაციო კამპანია ჩატარდა სახელწოდებით „დაარღვიე დუმილი", რომლის შედეგად ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 500-მდე მოქალაქემ ცნობიერების დონე აიმაღლა ძალადობისა და მისი პრევენციის გზების შესახებ; 30 მოსწავლის, 10 მშობლის, 10 პედაგოგის მონაწილეობით, 12-18 წლის ბავშვებს შორის კიბერბულინგისა და ძალადობის სხვა ფორმების პრევენციის თემაზე კონფერენცია მოეწყო. შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრს გასაცნობად გადაეგზავნა.
საბოლოო შეფასება	პროექტის მენეჯერი პროექტის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად	X დეკემბერი, XXXX წელი	ჩატარდა მონიტორინგის შედეგების განხილვა და პროექტის ბენეფიციართა გამოკითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად შედეგიანი იყო პროექტი; ასევე – პროექტის პრე და პოსტ ტესტის შედეგების შედარება.

სამოქმედო გეგმა



საპროექტო განაცხადს თან უნდა ახლდეს პროექტის შესრულების განრიგი – სამოქმედო გეგმა, რომელშიც დაწვრილებით უნდა აისახოს პროექტის საქმიანობები. პროექტის შინაარსიდან გამომდინარე, ისინი გადანაწილებული უნდა იყოს დროში (დღე, კვირა, თვე, კვარტალი, წელი). დაგეგმილი საქმიანობის შესრულების ვადების თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის მოსახერხებელია ცხრილის გამოყენება.

გადაშალეთ პროექტის
განხორციელების გეგმის
მაგალითის სანახავად

პრაქტიკული მაგალითი

პროექტის განხორციელების გეგმა

პროექტის სახელწოდება: დაინახე, გაიგე, დაარღვიე დუმილი!

პროექტის განხორციელების ვადები: სექტემბერი-დეკემბერი, XXXX წელი

	პროექტის მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი	სამუშაოს შესრულების გეგმის გაწერა კვირების მიხედვით																სამუშაოზე პასუხისმგებელი პირი და სტატუსი
		1 კვ	2 კვ	3 კვ	4 კვ	5 კვ	6 კვ	7 კვ	8 კვ	9 კვ	10 კვ	11 კვ	12 კვ	13 კვ	14 კვ	15 კვ	16 კვ	
1	პროექტის განსახორციელებლად მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება: პროექტის განმახორციელებელ ჯგუფში სამოქმედო გეგმის განხილვა, პასუხისმგებლობების გადახედვა და პროექტის პრეზენტაცია	X	X															ეკატერინე ქაშიბაძე – პროექტის მენეჯერი
2	პროექტის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვების განხორციელება		X															ეკატერინე ქაშიბაძე – პროექტის მენეჯერი, ცოტნე ნასყიდაშვილი – პროექტის ასისტენტი
3	ტრენინგ-მოდულის შემუშავება		X	X	X													ბარბარე ჭანკვეტაძე – ტრენერ-კონსულტანტი
4	ტრენინგების ორგანიზება სკოლებში თანატოლთა შორის ძალადობის პრევენციის თემაზე					X	X	X	X									ბარბარე ჭანკვეტაძე – ტრენერ-კონსულტანტი
5	„ღია საუბრების კლუბის" შექმნა, დისკუსიების, ფილმების ჩვენება-განხილვების, თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგების, უმცროსკლასელებთან შემეცნებითი შეხვედრების ორგანიზება									X	X	X	X	X	X	X	X	ეკატერინე ქაშიბაძე – პროექტის მენეჯერი, ცოტნე ნასყიდაშვილი – პროექტის ასისტენტი
6	თანატოლთა შორის ძალადობის თემაზე სპექტაკლებისა და წარმოდგენების (მცირე ზომის პიესა/სკეტჩი, ფორუმთეატრი) ორგანიზება				X				X				X				X	ეკატერინე ქაშიბაძე – პროექტის მენეჯერი, ცოტნე ნასყიდაშვილი – პროექტის ასისტენტი
7	სკოლის ვებგვერდზე სივრცის შექმნა შეტყობინებების მისაღებად				X	X	X	X										ეკატერინე ქაშიბაძე – პროექტის მენეჯერი, ცოტნე ნასყიდაშვილი – პროექტის ასისტენტი, სკოლის საინფორმაციო მენეჯერი და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი
8	სკოლის ადმინისტრაციის მიერ მულტიდისციპლინური ჯგუფის შექმნა და შემოსულ შეტყობინებებზე რეაგირება							X	X	X	X	X	X	X	X	X	X	სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროექტის მენეჯერი
9	საინფორმაციო კამპანიის „დაარღვიე დუმილი" ორგანიზება										X	X						ბარბარე ჭანკვეტაძე – ტრენერ-კონსულტანტი, ცოტნე ნასყიდაშვილი – პროექტის ასისტენტი
10	კონფერენციის ჩატარება 12-18 წლის ბავშვებს შორის კიბერბულინგისა და ძალადობის პრევენციის თემაზე													X				ეკატერინე ქაშიბაძე – პროექტის მენეჯერი, ცოტნე ნასყიდაშვილი – პროექტის ასისტენტი
11	პროექტის საქმიანობების შესრულების მონიტორინგი და შედეგების შეფასება		X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	ეკატერინე ქაშიბაძე – პროექტის მენეჯერი
12	დონორთან ანგარიშის გაგზავნა																X	ეკატერინე ქაშიბაძე – პროექტის მენეჯერი

მოამზადა

პროექტის მენეჯერი: ეკატერინე ქაშიბაძე — 30.07. XXXX წ.

სახელი და გვარი — ხელმოწერა — თარიღი

ბიუჯეტი

ბიუჯეტი უნდა იყოს რეალისტური და ფარავდეს ყველა საჭირო ხარჯს, სხვაგვარად პროექტის განხორციელება შეუძლებელი გახდება.

გაითვალისწინეთ: ბიუჯეტი პროექტით განსაზღვრულ აქტივობებს უნდა შეესაბამებოდეს.

ბიუჯეტი ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს პროექტის აღწერაში მითითებულ მიზნებთან, ღონისძიებებთან და საქმიანობასთან. არ შეიტანოთ მასში ის ხარჯები, რომელიც დაგეგმილი აქტივობის განხორციელებას არ ემსახურება. ბიუჯეტში აღწერილი ხარჯები ბაზარზე არსებული ფასების შესაბამისად დაითვალეთ.

პრაქტიკული მაგალითი

პროექტის ბიუჯეტი (ლარში)

პროექტის სახელწოდება: დაინახე, გაიგე, დაარღვიე დუმილი!

პროექტის განხორციელების ვადები: სექტემბერი-დეკემბერი, XXXX წელი

#	აღწერა	ერთეულის დასახელება	ერთეულის ფასი	ერთეულის რაოდენობა	მთლიანი ღირებულება
I.	**ადამიანური რესურსები**				
1	პროექტის მენეჯერი	სთ	25	17	425.00
2	ტრენერ-კონსულტანტი	დღე	90	12	1,080.00
				სულ ადამიანური რესურსები	**1,505.00**
II.	**შესყიდვები**				
1	საკანცელარიო მასალები კლუბისთვის	თვე	50	4	200.00
2	პროექტის სადგამიანი ბანერის დამზადება	ცალი	150	1	150.00
3	ბრენდირებული მაისურები	ცალი	12	30	360.00
4	ბრენდირებული სილიკონის სამაჯურები	ცალი	1.5	70	105.00
5	საინფორმაციო ბუკლეტები	ცალი	0.35	500	175.00
6	ყავა-ჩაი ტრენინგის მონაწილეებისთვის	პერსონა	3	100	300.00
7	ბეჭდური მასალები კონფერენციისთვის	პაკეტი	2	50	100.00
8	საბანკო მომსახურება	საკომისიო	0.9	10	9.00
				სულ შესყიდვები	**1,399.00**
III.	**ტრანსპორტირება**				
1	საინფორმაციო კამპანიისთვის მასალების ტრანსპორტირება	კმ	1	96	96.00
				სულ ტრანსპორტირება	**96.00**
				მთლიანი ღირებულება (ლარში)	**3,000.00**

მოამზადა
პროექტის მენეჯერი:

ეკატერინე ქაშიბაძე		30.07. XXXX წ.
სახელი და გვარი	ხელმოწერა	თარიღი

ბიუჯეტის შედგენისას აუცილებლად დაიცავით შემდეგი წესები:



- ბიუჯეტს უნდა ჰქონდეს ცხრილის სახე;
- ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ სამუშაოებსა და რესურსებს, რომლებიც პროექტის ამოცანებს შეესაბამება;
- ბიუჯეტის პუნქტებზე ფასები/ღირებულება მიუთითეთ ეროვნულ ვალუტაში – ქართულ ლარში, წინასწარ მოკვლეული საბაზრო ფასების შესაბამისად;
- ბიუჯეტში მითითებული ფასები უნდა იყოს საბაზრო ღირებულების შესატყვისი;
- კარგად გადაამოწმეთ ცხრილი შეცდომების თავიდან არიდების მიზნით (მაგ. არასწორად დაჯამებული თანხა);
- საჭირო რესურსების ჩამონათვალში აუცილებლად განმარტეთ დასახელების მახასიათებლები: კონფიგურაცია, საფირმო ნიშანი, მოდელი და ა.შ. შეგიძლიათ, ახსნათ ისიც, თუ რატომ გჭირდებათ ამა თუ იმ კონკრეტული სპეციფიკის რესურსი.

გაითვალისწინეთ: თუ პროექტი დაფინანსდა და კონკრეტული პროდუქციის შეძენას ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა არ ჰყოფნის, ბიუჯეტის სხვა ხაზიდან თანხის აღების უფლება არ გაქვთ დონორთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

დამატებით წარსადგენი დოკუმენტაცია (დანართები)



ყველა ის მნიშვნელოვანი დოკუმენტი თუ ინფორმაცია, რომელიც მხარს დაუჭერს თქვენს პროექტს, დანართების სახით წარადგინეთ. ეს დანართები მნიშვნელოვან როლს ითამაშებს დონორის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დანართები ნუმერაციის მიხედვით დაახარისხეთ და განაცხადის შესაბამის ტექსტურ ნაწილში მიუთითეთ კონკრეტული დანართის შესახებ, მაგ.: *დანართი 1* – ტრენინგ-სემინარის მეთოდოლოგია, *დანართი 2* – მოწვეული ტრენერის რეზიუმე და ა.შ. ტრენერის რეზიუმეში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი, თუ რა შესაბამის კვალიფიკაციას ფლობს პირი ამა თუ იმ ტრენინგის ჩასატარებლად, მაგ.: შესაბამისი აკადემიური განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მქონე; მის მიერ ჩატარებული ტრენინგების ჩამონათვალი წლების, დასახელებების, თემატიკისა და აუდიტორიის მითითებით.

დანართის სახით შეგიძლიათ წარადგინოთ, ასევე, სარეკომენდაციო და მხარდაჭერის წერილები.

პროექტის მართვის ციკლი (ეტაპები)

პროექტის მართვის ციკლი სამი მთავარი ეტაპისგან შედგება: მოსამზადებელი, განხორციელებისა და დასრულების ეტაპები. თითოეულ მათგანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის.

მოსამზადებელი ეტაპი მოიცავს: საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას, პროექტის განმახორციელებელ გუნდთან და პროექტის პარტნიორებთან ერთად პროექტის სამოქმედო გეგმის გადახედვას, მონიტორინგის გეგმის შემუშავებას, მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების მობილიზებას, დაგეგმილი შესყიდვების განხორციელებასა და ფართო აუდიტორიისთვის პროექტის გაცნობას.

განხორციელების ეტაპი მოიცავს: საქმიანობის/ღონისძიებების განხორციელებას, პროგრესის მონიტორინგსა და შედეგების შეფასებას.

პროექტის განხორციელების მანძილზე მუდმივი კავშირი იქონიეთ დონორ ორგანიზაციასთან და მისი წარმომადგენელი პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაზე მოიწვიეთ.

დასრულების ეტაპი მოიცავს: პროექტის შედეგების პრეზენტაციას პარტნიორებისა და დაინტერესებული პირებისათვის, პროექტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტების, რესურსებისა და პასუხისმგებლობის გადაცემას (თუ ეს პროექტით იყო გათვალისწინებული) ბენეფიციარებისთვის, ანგარიშის მომზადებასა და დონორთან გაგზავნას.

რას ვაკეთებთ პროექტის დასრულების შემდეგ?

პროექტის დასრულების შემდეგ ვიწყებთ პროექტის განხორციელების შესახებ შინაარსობრივი და ფინანსური ანგარიშის მომზადებას, რომელსაც დონორ ორგანიზაციას წარვუდგენთ.

ანგარიში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომუნიკაციის საშუალებაა დონორთან. იგი დეტალურ ინფორმაციას შეიცავს პროექტის განხორციელების პროცესისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

პროგრამული ანგარიშის სტრუქტურა

- პროექტის განხორციელების პერიოდი (ვადები)
- პროექტის მიზნები
- პროექტის განხორციელების პროცესის აღწერა (რა გაკეთდა და როგორ?)

- შევიდა თუ არა თავდაპირველ გეგმაში ცვლილებები?
- რა დაბრკოლებებს წააწყდა პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი პროექტის მსვლელობის დროს, დაიძლია თუ არა ეს დაბრკოლებები და რა გზებით?
- რა შედეგებს მიაღწიეთ?
- რა გასწავლათ პროექტზე მუშაობამ? რა იცით დღეს უფრო მეტი, ვიდრე პროექტის განხორციელებამდე იცოდით?

ანგარიშის მომზადებისას:



- გადახედეთ დონორის მითითებებს ანგარიშის მომზადების თაობაზე;
- ეცადეთ, ანგარიშის ტექსტი ლაკონური და ადვილად გასაგები იყოს;
- დაურთეთ თვალსაჩინო მასალა (ფოტოსურათები, ბეჭდური მასალა, საგაზეთო სტატიები, ვიდეო ბმულები და სხვა), რაც თქვენ მიერ განხორციელებული საქმიანობის აღქმას გაუადვილებს დონორს;
- დაიცავით ანგარიშის წარდგენის ვადები.

გამოყენებული ტერმინების განმარტებები

აპლიკანტი (განმცხადებელი) — პირი, ორგანიზაცია ან საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც განაცხადი შეაქვს კონკრეტული მოთხოვნით.

საგრანტო განაცხადი — თქვენ მიერ შემუშავებული იდეის და მისი განხორციელების მიზნით დაგეგმილი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც დონორი დაფინანსების გაცემის ან არ გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს.

ბენეფიციარი (მოსარგებლე) — ადამიანთა ჯგუფი, რომელიც პროექტის განხორციელების შედეგად უშუალოდ მიიღებს სარგებელს.

გრანტი — ფულადი რესურსი, რომელსაც დონორი კონკრეტული პროექტის განხორციელებისთვის გასცემს.

დაინტერესებული მხარეები — უწყებები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, სათემო ჯგუფები, რომელთა ინტერესშიც შედის პროექტის განხორციელება და არსებული პრობლემის მოგვარება.

დონორი — ყველა ის ორგანიზაცია თუ პირი, რომელიც კონკრეტული საქმიანობის/პროექტის პოტენციური დამფინანსებელია. ეს შეიძლება იყოს კერძო ან სახელმწიფო უწყება, ადგილობრივი, საერთაშორისო, საქველმოქმედო ფონდი და ორგანიზაცია, ბიზნეს კომპანია, კერძო პირი და ა. შ.

თემი – აღნიშნავს უფრო მეტს, ვიდრე გეოგრაფიული მდებარეობაა. პროექტის დაგეგმვისას, თემს შეიძლება წარმოადგენდეს იმ სოფლის, ქალაქის ერთი კონკრეტული უბნის ან დაბის მოსახლეობა, სადაც პროექტი უნდა განხორციელდეს. სასკოლო თემში შეიძლება მოიაზრებოდეს სკოლა ან მისი ქვედანაყოფები: კლასი, პედაგოგთა ჯგუფი და სხვა; პროფესიულ თემში – პროფესიული ჯგუფები: მცირე ბიზნესის, კონსულტანტების, ფერმერების და ა.შ.

პარტნიორი – იდეის თანამოაზრე, ერთობლივი საქმიანობის თანამონაწილე.

პარტნიორობა – პარტნიორობა არის ორი ან მეტი მხარის შეთანხმებული საქმიანობა საერთო მიზნის მისაღწევად. პარტნიორობა ეფუძნება: საერთო ხედვას, ღირებულებებს, მიზნებსა და ამოცანებს.

პრევენცია – წინასწარი ზომების მიღება რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან აცილების მიზნით.

სამიზნე ჯგუფი – ადამიანთა ჯგუფი, რომელზეც პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები ვრცელდება.

გამოყენებული ლიტერატურა

პუბლიკაციაში გამოყენებულია ორგანიზაციების: „პარტნიორები-საქართველო“ და „საქართველოს მშვიდობის კორპუსი“ მასალები; ასევე – შემდეგი ლიტერატურა:

- პროექტის წერის და მართვის სახელმძღვანელო (https://bit.ly/3ddUInf)
- Manual of Project Management for Development Practitioners – GTZ (https://bit.ly/37eEvVN)
- „Project Proposal Writing“ - BESIM NEBIU (https://bit.ly/3alvFaI)
- „მშვიდობის კორპუსის“ პროექტის დაგეგმვისა და მართვის სამუშაო წიგნი – 2007 წელი, თბილისი
- Project Management Manual – GEF, UNDP, IW LEARN – 2001-2014 (https://bit.ly/3rUpaBr)

სახელმძღვანელო დაიბეჭდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ISBN 978-9941-8-0167-9

9 789941 801679

USAID
ამერიკელი ხალხისგან

PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტრო

EDEC
EDUCATION DEVELOPMENT
AND EMPLOYMENT CENTER